ოქმი:**ო02. 3722305001**

თარიღი:**01/11/2022**

ოქმი № 22

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2022 წელი, 31 ოქტომბერი

ქ.ოზურგეთი

11.30-12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ტ. აროშიძე, თ. ტუღუში, გ. სირაძე, დ. მდინარაძე, გ. კილაძე, გ. შილაკაძე, ნ. სარჯველაძე, ნ. მახარაძე, ნ. ურუშაძე, ვლ. ხავთასი, ლ. კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების, ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე
თანამომხსენებელი: თ. ქინქლაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოების შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

თანამომხსენებელი: თ. მესხია

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი, ვრცლად კი მასზე ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა თანამომხსენებელმა თ. ქინქლაძემ, ამის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრმა გ. შილაკაძემ დასვა საკითხი მეეზოვეების ხელფასის გაზრდის თაობაზე, დ. მდინარაძემ ნარჩენების დახარისხებაზე და სხვა. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ინფორმაციის ცნობად მიღებას.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ, ისაუბრა დღის წესრიგის მეორე საკითხზე, არსებულ მდგომარეობაზე კონკრეტული ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა თ. მესხიამ, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მუშაობა უწევთ სამი ერთეული მოძველებული სპეცტექნიკით, შესაცვლელია ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა. კომისიის წევრებმა მოიწონეს ინფორმაცია და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი ცნობად მიღება.

გადაწყვიტეს:

ცნობად იქნეს მიღებული დღის წესრიგში წარმოდგენილი ორივე ინფორმაცია.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი